მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №10

ქ. მარტვილი 7 ივნისი 2021 წელი

სხდომა დაიწყო 14:00 სთ-ზე დამთავრდა 16:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ალექსი გაბისონია, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ლაშა ქობალია, ლევან სურმავა, ელდარ თოდუა, ბორის მიქავა, რომან ფონიავა, ირინა გადელია, კობა დარჯანია, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ვარლამ ცეკვავა, რობერტ კაკულია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის, სტატისტიკისა და მდგრადი განვითარების სამსახურის უფროსი სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი და სთხოვა საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 ივნისის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 ივნისის განკარგულება №24 სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის გაყოფისა და ახალი დასახლების ,,მამულის“ შექმნის თაობაზე” განკარგულების პროექტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე;
   /მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის პირველი მოადგილე/

3. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე.
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის პირველი მოადგილე/

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის გაყოფისა და ახალი დასახლების ,,მამულის“ შექმნის თაობაზე”.

მომხესენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: თორნიკე ჯანაშიამ დასვა კითხვა თუ რით იყო გამოწვეული შესაბამისი ცვლილებები აღნიშნულ განკარგულების პროექტებში, რაზეც რამაზ ხურცილავამ უპასუხა, რომ დადგენილების პროექტი გაუმართავია იურიდიულად. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N307 დადგენილებით დამტკიცებული ,,დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესები“-ს მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას დასახლების შექმნის/გაუქმების თაობაზე წინადადების მოწონების ან წინადადების მოწონებაზე უარის თქმის შესახებ. გარდა ამისა გაურკვეველია კრების ჩატარების დროის, თანმიმდევრობის და კრების ოქმის ნუმერაციის საკითხი, ამიტომ მიზანშეწონიალად მიაჩნია განკარგულების პროექტი დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერს.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს საკითხს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის გაყოფისა და ახალი დასახლების ,,მამულის“ შექმნის თაობაზე” განკარგულების პროექტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაევლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ განკარგულების პროექტის მერისთვის დაბრუნები საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

/მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის გაყოფისა და ახალი დასახლების ,,მამულის“ შექმნის თაობაზე” განკარგულების პროექტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 ივნისის განკარგულება №25 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ელდარ თოდუამ დასვა კითხვა თუ რით იყო გამოწვეული შესაბამისი ცვლილებები აღნიშნულ განკარგულების პროექტებში, რაზეც ალექსანდრე ხურცილავამ

უპასუხა რომ, მისთვის მისაღებია საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ: ის რომ ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი, რომელშიც არის როგორც იურიდიული ასევე ტექნიკური სახის უზუსტობები, კერძოდ: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2021 წლის 15 მარტს მიიღო ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ №11 განკარგულება, საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში ცვლილების შეტანა ხდება ძირითად დოკუმენტში ცვლილების განხორციელებით, შესაბამისად უნდა მომზადდეს ცვლილების პროექტი.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე საკითხს.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაევლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“ განკარგულება N26 სხდომის ოქმს თან ერთვის.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ალექსი გაბისონია